Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25,ივლისი, 2023

ღამის ეკონომიკა: საქართველოს განვითარების შესაძლებლობა თუ გამოწვევა

ლუკა ტუღუში

ხატია ბუთიაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: luka.tugushi478@sps.tsu.edu.ge

E-mail: khatia.butiashvili700@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ძლიერი ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში ძლიერი სახელმწიფოს გარანტიაა. შესაბამისად, სახელმწიფოები ცდილობენ, იპოვონ ბერკეტები, რომლებიც დაეხმარებიან ეკონომიკას წინსვლასა და განვითარებაში. „ღამის ეკონომიკა“ კი წარმოადგენს ერთ-ერთ მათგანს, ესაა პროექტი, რომლის სწორად განხორციელების შემთხვევაში შედეგი დადებითია. იგი დიდ გავლენას ახდენს ქალაქების განვითარებასა და ტურისტების მოზიდვაზე. აქედან გამომდინარე, ეს თემა ყურადღების ცენტრში მოექცა რიგ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც.

არსებული პროექტის განხორციელება დაგეგმილი იყო საქართველოშიც. იმისათვის, რომ გავიგოთ ღამის ეკონომიკის შესახებ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია, უნდა ვიცოდეთ რატომ გახდა საჭირო საქართველოში მსგავსი პროექტის, ღამის ეკონომიკის შემოღება და რამდენად იყო ის მორგებული საქართველოს მდგომარეობაზე.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში ,,ღამის ეკონომიკის“ იდეის წარმოშობასა და მის განვითარების ეტაპებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკა არცთუ ისე ძლიერია სხვა ქვეყნებთან შედარებით, საჭიროა მისი გაზრდა სხვადასხვა პროექტისა და ღონისძიების მეშვეობით. 2018 წელს საქართველოში გაჩნდა იდეა და დაიწყო პროექტის განხორციელაბა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნეს სექტორის გაძლიერების მეშვეობით, სახელმწიფოს ეკონომიკის გაზრდას. ,,ღამის ეკონომიკა'' კი ნებისმიერ ეკონომიკურ აქტივობას გულისხმობს, რომელიც იწყება საღამოს და გრძელდება დილამდე. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ,,ღამის ეკონომიკის“ პროექტი დიდწილად ეყრდნობოდა გერმანიის მოდელს, რომელიც დიდ როლს ასრულებს ურბანული ცხოვრების დონის გაზრდასა და განვითარებაში. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი მიზანია გერმანული და ქართული მოდელის შედარება. რისი სწავლება შეიძლება გერმანული მოდელიდან? ისევე ეფექტური იქნება ეს პროექტი საქართველოში როგორც გერმანიაში?

ჩვენი კვლევის მიზანია „ღამის ეკონომიკის“ შესწავლა, საქართველოში მისი განვითარების ხედვის კვლევა. თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი შედარებითი და შინაარსობრივი ანალიზი, დოკუმენტთა ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუ, რომლებიც მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

მოცემული მეთოდოლოგიით მიღებული შედეგების შეჯამებით დავასკვენით, რომ ,,ღამის ეკონომიკა“ სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, მით უმეტეს, პანდემიის შემდგომ პერიოდში, როცა ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დასუსტებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ,,ღამის ეკონომიკა“ საზოგადოებაზე მორგებული არ იყო და ვერ განვითარდებოდა ისე სწრაფად, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ღამე, საქართველო, გამოწვევა, შესაძლებლობა.

შესავალი:

საქართველომ, კერძოდ, კი თბილისის მერიამ, 2018 წელს გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ამისათვის მათ მიმართეს ისეთ იდეასა და პროექტს, რომელიც განხორციელდა ევროპის და აზიის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, ყველაზე წარმატებული გახლდათ გერმანია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ გერმანიის მაგალითი იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველომ განეხორციელებინა ღამის ეკონომიკის პროექტი საქართველოში. ვინაიდან, გერმანიაში არსებული იდეა წარმატებით განხორციელდა, საქართველომაც ჩათვალა, რომ მისი განხორციელება დადებით შედეგებს მოიტანდა საქართველოს ეკონომიკისათვის, მაგრამ აქ ისმის მთავარი შეკითხვა, რამდენად იყო მზად საქართველო არსებული პროექტის განხორციელებისათვის? სწორედ კითხვებზე არასწორად გაცემულმა პასუხებმა გვიბიძგა გაგვემახვილებინა ყურადღება თუ რა გავლენა ექნებოდა ღამის ეკონომიკის პროექტს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არასათანადოდ გაცემული პასუხები გახდა მიზეზი იმ შედეგებისა, რომლებსაც სტატიის ფარგლებში მიმოვიხილავთ.

ფაქტია, რომ საქართველოს, კერძოდ, კი თბილისის მერიას, მიზანი ჰქონდა ეკონომიკური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. ამბობენ, რომ ეკონომიკა არ არსებობს პოლიტიკის გარეშე და პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე, აქედან გამომდინარე, ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ, შექმნან პროექტები, რომლებიც დაემხარებათ მათ ეკონომიკურ წინსვლაში და განავითარებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ, უმჯობესია, მათ შეისწავლონ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფონი და შეიცნონ რომელი მოდელი იქნება ყველაზე შესაბამისი განხორციელებისათვის და რა თქმა უნდა, დადებითი შედეგების მომტანი. სწორედ ასეთი გახლდათ ღამის ეკონომიკის პროექტი, რომელიც წარმატებით განახორციელა გერმანიამ, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მაგალითზე.

რაც შეეხება არსებული იდეის განხორციელებას საქართველოში, რომელმაც ასე ძალიან მიიქცია ჩვენი ყურადღება, მოიცავს რიგ პრობლემებს, მათ შორის, ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ბიუჯეტმა, რომელიც კონკრეტულად ამ პროექტის განხორციელებისთვის გამოიყო, რომელიც მიზნობრივად უნდა გახარჯულიყო, ხოლო რამდენად მოხერხდა არსებული ფინანსების მიზნობრვად გახარჯვა ამ კითხვაზე პასუხი კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ. სტატიის ძირითად ნაწილში კი მიმოვიხილავთ იმ უშუალო დეტალებსა და მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ღამის ეკონომიკის არარსებობის საკითხი.

ლიტერატურის მიმოხილვა:

მსოფლიო დღითი დღე ვითარდება, განვითარების ახალ საფეხურებზე აღწევენ რიგი სახელმწიფოები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ დღევანდელი რესურსები სწორად გამოიყენონ და შეძლონ ქვეყნების განვითარება ისე, რომ მიიღონ ნაკლები დანახარჯი და დიდი შედეგები. იმისათვის რომ, პროექტებმა და იდეებმა გაამართლოს, საჭიროა მათი ძირეული კვლევა და დეტალებზე ორიენტირება.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ დღესდღეობით ღამის ეკონომიკის პროექტით სარგებლობს მსოფლიოს უამრავი ქვეყანა, მათ შორის, გერმანია, ჰოლანდია თუ აზიის ქვეყნები: ჩინეთი, კორეა და ა.შ. თითოეულმა მათგანმა დიდი გზა განვლო, რათა იდეა სრულფასოვნად განეხორციელებინათ. საქართველო კი იმ ქვეყნების რიგში შედის, რომლებმაც არასწორი გზა აარჩიეს ქვეყანაში ღამის ეკონომიკის პროექტის განსახორციელებლად. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საქართველოს, თბილისის მერიის გეგმა, განეხორციელებინათ არსებული პროექტი არ დარჩა ჩვენი ყურადღების მიღმა. ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს საბოლოო შედეგები ბევრია, თუმცა უმჯობესი იქნება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე მიმოვიხილოთ ღამის ეკონომიკის შემადგენელი კომპონენტების ჩამოყალიბება და ამის შემდგომ გამოვიტანოთ დასკვნები, რამდენად გადაიდგა ესა თუ ის ნაბიჯები საქართველოში.

ჩვენ შეგვიძლია ღამის ეკონომიკის საუკეთესო მაგალითად მოვიშველიოთ ვიეტნამის გამოცდილებაც, სადაც პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტი, რომელსაც ორი ძირითადი მიზანი აქვს, პირველი ეს გახლავთ შიდა მოხმარების ხელშეწყობა და ასევე ტურიზმის განვითარება ფოკუსირების გზით, რაც გულისხმობს კულტურული სერვისების, გართობის, კვების, სავაჭრო თუ ტურიზმის სფეროების განვითარებას წინა დღის 6 საათიდან მეორე დილის 6 საათამდე (Tuong, 2022). პროექტის დასაწყისში გაწერილმა ორმა უმნიშვნელოვანესმა მიზანმა გაამართლა და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ვიეტნამმა თავიდანვე აიღო ის ძირითადი ამოცანები, რომლებზეც უნდა ჰქონოდა გავლენა ღამის ეკონომიკას. ვიეტანმის პროექტი, თავის მხრივ, უნიკალურია, რადგან შეძლო და გამოყო ის ძირითადი მარკები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩართულიყო ღამის ეკონომიკაში და ამის განსახორციელებლად მათ მოახერხეს ამ კონკრეტულ სტრუქტურებთან დაკავშირება და თანამშრომლობის ხელის გაწოდება ისეთ მნიშვნელოვან სექტორთან, როგორიცაა ბიზნეს სექტორი, ეს ყველაფერი კი დროში კარგად გაწერილი პროცესი გახლდათ, გეგმიური სამუშაოების ფონზე კი ვიეტნამმა უზრუნველყო პროექტის შესაბამისად წარმართვა.

ევროპის ქვეყნების გამოცდილებებიდან კი შეგვიძლია გავიხსენოთ ინგლისის მაგალითი, რომელიც ცალსახად ამბობს, რომ პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროექტში ჩართულები იყვნენ როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალური ორგანიზაცია/კომპანიები, რადგან სწორედ ისინი არიან მამოძრავებელნი ამ პროცესისა. (Roberts, 2004).

ინგლისმა პროექტის განხორციელების პირველივე ეტაპზე დასახა გეგმა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა პარტნიორებისა და კომპანიების მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა. ეს კი გახლავთ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს ღამის ეკონომიკის პროექტის საბოლოო სახის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ქვეყნის მაგალითს, სადაც პროექტმა მიზანს მიაღწია თუ ვერ მიაღწია, თან ახლდა გამოწვევები, რომელთა დაძლევაც ასეთ პროცესში აუცილებელია. კონკრეტული გამოწვევა ან შესაძლებლობა, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს ქვეყანა უნდა დაიძლიოს რესურსების სწორად გამოყენებით, სწორი სტრატეგიითა და კარგად გაწერილი გეგმის მეშვეობით. ქვეყნის განვითარების დონიდან და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე,

აუცილებელი პირობაა ამ ყველაფერზე სწორი პასუხების გასაცემად შეირჩეს მიზნებისა და პრიორიტეტების გარკვეული სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოწვევა სიტუაციისდა შესაბამისად გადავჭრათ. (სამადაშვილი. 2010).

სამწუხაროა, თუმცა საქართველოში ღამის ეკონომიკის განვითარების პროცესში საბოლოო შედეგების დადგომა დიდწილად სწორედ არასწორმა სტარტეგიამ და პრიორიტეტების არასწორად განაწილებამ განაპირობა. ასეთ შემთხვევას კი ვერ ვხვდებით ვერც გერმანიის, ვერც კორეის, ვერც ვიეტნამისა თუ ინგლისის მაგალითზე.

შესაძლოა, არ არსებობდეს კანონიერი ჩარჩო და პოლიტიკა ღამის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბევრი დადებითისა, რომლებიც გააჩნია ღამის ეკონომიკას, არსებობს რისკებიც, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი ამ პროცესში, ამიტომ, ხელისუფლება ვალდებულია მზად იყოს მსგავსი გამოწვევებისთვის, მაგრამ თუკი პრობლემათა ჩამონათვალი ვერ გვარდება დღის ეკონომიკის შემთხვევაში, მაშინ, რთულია ის მოგვარდეს ღამის ეკონომიკის პირობებში, არადა, ამ დროს ისეთი პრობლემები ჩნდება როგორებიცაა: ინფრასტრუქტურაზე ზეწოლა ხალხის მხრიდან, ხმაური, ნარჩენები და ქალაქის დაბინძურება, უსაფრთხოების საკითხების რეგულაციის მოშლა და აშ. (Tuong, 2022).

მსოფლიოში მრავალი წარმატებული მაგალითი არსებობს როგორც ეკონომიკის, ისე ჯანდაცვის, თავდაცვისა თუ განათლების სფეროში, თითოეული მათგანი მორგებულია ქვეყნის საჭიროებებს და რესურსებს. პროექტები და იდეები იგეგმება სტატუს-კვოს გათვალისწინებით და მაშასადამე, ითვალისწინებს ქვეყანაში მიმიდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს. აქედან გამომდინარე, პროექტი შესაძლოა მოერგოს ერთ ქვეყანას, თუმცა გარანტია იმისა, რომ იგი აუცილებლად მოერგება სხვა ქვეყანასაც ხმამაღალი ნათქვამია, ამიტომ იგი რამდენადმე გადასინჯვას საჭიროებს, რომ შეიქმნას იდეის ისეთი პროდუქტი, რომელიც მორგებული იქნება ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია ,,ღამის ეკონომიკის“ შესწავლა, საქართველოში მისი განვითარების ხედვის კვლევა. გავიგოთ ღამის ეკონომიკის გავლენა საქართველოზე მისი განხორციელებისა და განუხორციელებლობის შემთხვევაში. ამასთანავე, შევადაროთ ქართული და გერმანული ,,ღამის ეკონომიკის“ მოდელები, რადგან ქართული პროექტის მოდელი მეტწილად ეყრდნობოდა გერმანულ მოდელს და გერმანია არის ის ქვეყანა, სადაც ეს პროექტი წარმატებულად ხორციელდება. შესაბამისად, კვლევის შეკითხვებიც მიზნიდან გამომდინარე შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რატომ გახდა საჭირო ღამის ეკონომიკის პროექტის შემოღება საქართველოში და ერგებოდა თუ არა ქვეყნის რესურსებს?
- რისი სწავლა შეიძლებოდა გერმანული მოდელიდან და იქნებოდა თუ არა ისეთივე წარმატებული როგორც გერმანიაშია?

კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე და ემპირიული დასკვნების გამოსატანად კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, შედარებითი და შინაარსობრივი ანალიზი, დოკუმენტთა ანალიზი და ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ. იმისათვის, რომ შეგვედარებინა და გამოგვეკვეთა პროექტის დადებითი და უარყოფითი ასპექტები:

1. მოვიძიეთ ღამის ეკონომიკის შესახებ ინფორმაცია და გავაანალიზეთ;

2. არსებული ღამის ეკონომიკის პროექტები აღვწერეთ და მისი ღირებულებები დავადგინეთ;

3. ღამის ეკონომიკის განვითარების ძირითადი პრინციპები ჩამოვაყალიბეთ;

4. გავესაუბრეთ პროქტის ორგანიზატორებს;

5. ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაციები კი საქართველოს რესურსებთან შევადარეთ და დასკვნებიც შესაბამისი გამოვიტანეთ;

ღამის ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა

ღამის ეკონომიკის პროექტები დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებსა და ქალაქებში. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნების უმრავლესობას სწორედ ღამის ეკონომიკის პროექტი დაეხმარა ტურისტების მოზიდვასა და განვითარებაში. ღამის ეკონომიკა საგრძნობლად ზრდის ქვეყნების ეკონომიკას. პროცესში ჩართულია სხვადასხვა სექტორი- ტრანსპორტი, ვაჭრობა: ტანსაცმლის მაღაზიები, აფთიაქები, სურსათის მაღაზიები; კულტურა და ხელოვნება: მუზეუმები, საგამოფენო სივრცეები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები; კვების სექტორი: ბარები, რესტორნები, კაფეები, ქუჩის საკვები; გართობა და დასვენება: კონცერტები, საკლუბო სცენა; სპორტი: სავარჯიშო დარბაზები, ღია სათამაშო მოედნები, ფიტნეს კლუბები; ტრანსპორტი: საჯარო ტრანსპორტი, ტაქსის სერვისი. ამ სექტორების უწყვეტი მუშაობა განაპირობებს ტურიზმის, საცალო ვაჭრობის, ლოჯისტიკის შემოსავლების ზრდას. ეს პროცესი იწყება საღამოს 6 საათიდან და გრძელდება დილის 6 საათამდე. ამ პროცესის საშუალებით არა მარტო ეკონომიკა იზრდება, არამედ საზოგადოების ცხოვრების ხარისხიც უმჯობესდება, რადგან ადამიანისთვის ყველაფერია ხელმისავწდომი, როგორც ეს ხდება დღისით. მათ 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ ისარგებლონ სავარჯიშო სპორტდარბაზებით, მაღაზიებით, ბიბლიოთეკებით, კლუბებით და ა.შ. გარდა ამისა, იზრდება სამუშაო ადგილები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას ამ გზით გადაჭრას დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემა და ხელი შეუწყოს უფრო მეტი ადამიანის კეთილდღეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ღამითაც იგივე სერვისები მუშაობს, რაც დღისით, მაინც არსებობს მათ შორის განსხვავება სხვადასხვა კუთხით. მაგალითად, დღის ეკონომიკისგან განსხვავებით, ღამის ეკონომიკა უფრო არაორგანიზებული, ქაოტური, დაბალანაზღაურებადი და ნაკლებად რეგულირებულია. გარდა ამისა, ხმაურიანია, ტრანსპორტი შეზღუდულად გადაადგილდება და ფასების სხვაობაა დღის მონაკვეთთან შედარებით. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, განათება, ხმაური და სხვადასხვა სოციალური აქტივობა განსაკუთრებით იზიდავს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, ახალგაზრდებს, შემოქმედ ადამიანებსა და ტურისტებს, რაც ქმნის სასიამოვნო

ატმოსფეროს. შედეგად კი ვითარდება კრეატიული სექტორი, გარეუბნები და იზრდება სოციალური აქტივობის დონე.

საქართველოს გამოცდილება

2018 წლის 20 აპრილს თბილისის მერმა, კახა კალაძემ წარადგინა ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტი. პროექტის საშუალებით პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო ყველა კერძო სექტორი, კვების ობიექტები, მაღაზიები, გასართობი ცენტრები და ა.შ., ხოლო ეს პროექტი მიზნად ისახავდა სამუშაო ადგილების შექმნას, რომელიც დღემდე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, გარეუბნების გამოცოცხლებასა და თბილისის, როგორც 24-საათიან ქალაქად ქცევა. პროექტის ხელმძღვანელი, სერგი გვარჯალაძე, ღამის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ასპექტად, გარდა ეკონომიკისა და ტურიზმის ზრდისა, ასახელებდა ელექტრონული მუსიკისა და კრეატიული ინდუსტრიის განვითრებას, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულია. ღამის ეკონომიკის მიზანს წარმოადგენდა ხელოვნების ინდუსტრიის განვითარება და მისი, როგორც ეკონომიკის დარგის ჩამოყალიბება.

ერთი შეხედვით, ეს პროექტი მართლაც წარმატებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის განვითარებისთვის, ტურიზმის ზრდისა და კერძო სექტორის ხელშეწყობისთვის, მაგრამ, რამდენად იმუშავა ამ პროექტმა საქართველოს მაგალითზე, ეს საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. უფრო მეტია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებსაც ვერ უმკლავდება ქვეყნის მდგომარეობა, ვიდრე ის დადებითი შედეგები, რაც უნდა ჰქონოდა ამ პროექტს. ასეთი გამოწვევებია: უსაფრთხოება, ხმაურის რეგულირება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ხალხთან და მათი სოციალური თუ ეკონომიკური მზაობა, რაც აშკარად არ არის იმდენად მაღალი, რასაც მოითხოვს ღამის ეკონომიკა.

საქართველომ ვერ შეძლო ყველა ამ გამოწვევასთან გამკლავება, რომლის შემდგომაც ფუნქციონირებას დაიწყებდა ღამის პროექტი. ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად, რაც კი განხორციელებულა პროქტის ფარგლებში და რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ეს იყო ღამის ავტობუსის N:222 დანიშვნა, რომლითაც ღამის განმავლობაში ძალიან ცოტა ადამიანი სარგებლობდა, დაახლოებით 40-60. შედეგად, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გამოყოფილი თანხები გაცილებით აღემატებოდა მგზავრების მიერ გადახდილ მომსახურების საფასურს, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა არა იზრდებოდა, არამედ, პირიქით, ზარალდებოდა კიდეც. მართალია, პროექტი მიზნად ისახავდა, დასაქმების ხელშეწყობასა და ეკონომიკურ ზრდას, რეალურად კი მან ამისთვის 2 წლის განმავლობაში შეძლო მხოლოდ და მხოლოდ ქუჩის მუსიკოსთა ფესტივლის, ჰაკათონის, NeWon ფესტივალის ჩატარება. ჩამოთვლილ აქტივობებში კი 300 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. ასევე, შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმები: თბილისის ღამის ეკონომიკის ფეისბუქ გვერდი, ღამის ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ვებგვერდი, Newon ფესტივალის ვებგვერდი. აშკარაა, რომ რეალური მიზანი, ამ ღონისძიებების საშუალებით ვერანაირად მიიღწეოდა.

პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხები პირველ ეტაპზე უნდა მოხმარებოდა საფუძველის შექმნას, ანუ იმ ყველაფრის უზრუნველყოფასა და მოწესრიგებას, რაც პროექტს წარმატებას მოუტანდა და არა ფესტივლების ჩატარებას. რეალურად თანხები უნდა დახარჯულიყო საპარკინგო სივრცეებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებისთვის, ქუჩებში განათებებისა და შესაბამისი დიზაინისთვის, საგზაო ნიშნების დემონტაჟისთვის. ამასთანავე, დასუფთავების სამსახურის სმენის გაზრდასა და ახალი ურნების დამატებაში, უსაფრთხო გადაადგილებისთვის მარშუტის დაგეგმვაში, პატრულისა თუ სხვა შესაბამისი სამსახურების გადამზადებაში. ამ ყველაფრის გახორციელების შემთხვევაში შეიქმნებოდა უსაფრთხო და ღამის ცხოვრებისთვის შესაფერისი გარემო, რაც საშუალებას მისცემდა თბილისს ქცეულიყო ერთ-ერთ წამყვან ქალაქად, მისი აქტიური ცხოვრებისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების გამო კი, გაიზრდებოდა მისი შემოსავალიც და დამთვალიერებლების რაოდენობაც.

საინტერესოა, ჩვენი კვლევის შეკითხვაზე პასუხი, თუ რატომ გახდა საჭირო მსგავსი პროექტის შემოღება საქართველოში. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში ტურიზმის 28%-იანი ზრდა დაფიქსირდა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნის შიდა პროდუქტის 7%-ს შეადგენს. შესაბამისად, ვარაუდობდნენ, რომ 2025 წელს საქართველო 11 მილიონი ტურისტის მასპინძელი იქნებოდა, მათი რაოდეონობის 50% კი თბილისს ესტუმრებოდა. შესაბამისად, ღამის ეკონომიკა მისი სწრაფი განვითარების შემთხვევაში გაზრდიდა მათი ვიზიტის დღეებს თბილისში, რაც უფრო გაზრდიდა ბიუჯეტს. ტურისტს საშუალება ექნებოდა თავისი ვიზიტის დღეებში მოენახულებინა როგორც დღე, ისე ღამე, თბილისის სხვადასხვა უბანი და გაცნობოდა მის ღირსშესანიშნაობებს და ასევე მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა სერვისი.

ღამის ეკონომიკის პროექტს არანაირი წარმატება და განვითარება არ მოუტანია ქვეყნისთვის ორი წლის განმავლობაში, როცა ის ხორციელდებოდა. ისე დასრულდა პროექტი, რომ ვერც ერთი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, არ გაზრდილა სამუშაო ადგილები, არ მოჰყოლია გარეუბნების გამოცოცხლება და ა.შ. მართალია აღნიშნულის მიზეზად პანდემიის დაწყება გამოცხადდა, მაგრამ კვლევამ ცხადყო, რომ პროექტს, რომელიც დაიწყო პანდემიამდე ორი წლით ადრე, არ ჰქონდა განვითარების პერსპექტივა, რადგან არ არსებობდა სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფდა პროექტის ნელ-ნელა განვითარებასა და მიზნისკენ სწრაფვას. საბოლოოდ კი, საქართველო არც სოციალური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით მზად არ იყო ამ პროექტის დაწყებისთვის. არ იყო გათვალისწინებული მოქალაქეების აზრი, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. საზოგადოება არ არის მიჩვეული ღამის აქტიურ ცხოვრებას, გარდა ახალი თაობის წარმომადგენლებისა, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ თბილისის მთლიან მაცხოვრებელთა რაოდენობის ფონზე.

რესპოდენტთა მოსაზრებები ,,ღამის ეკონომიკის“ შესახებ საქართველოში:

კვლევის პროცესში გავესაუბრეთ ,,ღამის ეკონომიკის“ პროექტის ხელმძღვანელს სერგი გვარჯალაძესა და თანაორგანიზატორს, გიორგი თაბუკაშვილს.

როგორც ღამის ეკონომიკის პროექტის მენეჯერი, სერგი გვარჯალაძე აღნიშნავს, საქართველოში ღამის ეკონომიკის განვითარების იდეა გაჩნდა საკლუბო სცენის გააქტიურებასთან ერთად.

,,ბასიანი", ,,ხიდი" სწორედ ეს ის კლუბებია, რომლებიც თავდაპირველად აქტიურობით გამოირჩეოდნენ იმ პერიოდში და ბატონი სერგის აზრით, დღესაც მნიშვნელოვან სოციალურ გავლენას ახდენენ, განსაკუთრებით თბილისში. კლუბურმა სცენამ მიმართა ქალაქის მერს, კახი კალაძეს, რის შედეგადაც მერი დაინტერესდა ამ მიმართულებით, რადგან საკმაოდ ინფორმირებული იყო ღამის ეკონომიკისა და მისი გავლენის რაობაზე. ამის შემდეგ ბატონი სერგი დაინიშნა პროექტის ორგანიზატორად, მას ჰქონდა გამოცდილება ელექტრონულ მუსიკასა და ღამის ეკონომიკის მუშაობის სპეციფიკაზე. ძირითადი ინტერესი იყო ღამის ეკონომიკის ელემენტების ანუ გართობის, კვებისა თუ შოპინგის ნაწილზე, მართალია, ეს ელემენტები არსებობდა, მაგრამ აუცილებელი იყო სწორი პოლიტიკის გატარება ღამის ეკონომიკის პროექტისთვის, როგორებიცაა: უსაფრთხოება, ტრანსპორტირება, გარკვეული ურბანული საკითხების ორგანიზება და ა.შ. პროექტის მენეჯერის აზრით, თბილისი ერთ-ერთი უსაფრთხო ქალაქი იყო, შესაბამისად, უსაფრთხოების მხრივ, ამარტივებდა საქმეს, თუმცა ქალაქი არ იყო მიჩვეული მასშტაბურ ღონისძიებებს, მით უმეტეს, ღამით, ამიტომ ეს ასოცირდებოდა გამოწვევებთან. ბატონი სერგი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ ღამის ცხოვრებაში მეტად აქტუალურია ნარკოტიკების მოხმარება, თუმცა ეს საკითხი მეტნაკლებად მკაცრად კონტროლდებოდა, მით უმეტეს, დახურულ ღონისძიებებზე. ცხადია, ნარკოტიკების მოხმარება იქნება მუდმივად, მაგრამ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიციის მოქმედება, რათა შემცირდეს არასასურველი შემთხვევების მაჩვენებელი.

პროექტის მენეჯერი აღნიშნავს, რომ ,,ღამის ეკონომიკის" ცნება არ იყო ყველასთვის გასაგები და მოსახლეობაში ჩნდებოდა კითხვები, თუ რაში და რატომ უხდიდნენ ფულს ამ ჯგუფს, რომელიც მუშაობდა ამ პროექტზე, შესაბამისად, მოსახლეობის მზაობა და ინფორმაციის არ ქონა ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევდა. როგორც პროექტის მენეჯერთან საუბრისას ირკვევა, ეს პრობლემები ჩნდებოდა იმიტომ, რომ პროექტის წარმომადგენლებმა არასაკმარისი კომუნიკაცია აწარმოეს საზოგადოებასთან, იყენებდნენ არსებულ კვლევებსა და გამოკითხვებს, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო უფრო მეტი კომუნიკაცია. სამუშაო ჯგუფის მთავარი სამუშაო იყო კვლევა და შემდეგ გარკვეული დასკვნების გამოტანა, შესაბამისად, გარკვეული რისკები და გამოწვევები წინასწარ იყო შეფასებული. ყველაზე დიდი დაბრკოლება იყო იმ რიცხვებისა და კვლევების არარსებობა, რომლებიც საჭირო იყო შეფასებისთვის, მაგალითად: რამდენი აფთიაქი, მაღაზია მუშაობდა ღამე და ა.შ. აქედან გამომდინარე, საორგანიზაციო ჯგუფის სამუშაო გეგმა იყო ჯერ გამოძიება, გამოკვლევა, შემდგომ დასკვნების გამოტანა. ამის მაგალითად ორგანიზატორი ლათინური ამერიკის ქვეყნებს ასახელებს.

რაც შეეხება, სხვა ქვეყნების გამოცდილებას, რომელიც საქართველოსთვის მაგალითი იყო, მნიშვნელოვანია ბრისტოლის, ნანტის და ნიდერლანდების მოშველიება. ონლაინ რეჟიმში პროექტზე მომუშავე ჯგუფმა შეისწავლა ავსტრალიელებისა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქალაქის გამოცდილება, სადაც ჩართულები იყვნენ გამოცდილი ექსპერტები, რომლებიც მნიშვნელოვან რჩევებსა და დახმარებას უწევდნენ. ბატონი სერგი, საუბრობს ღამის ეკონომიკის ფორუმზე, რომელიც იმ დროისთვის ერთ-ერთი დიდი ფორუმი იყო, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ქალაქის რამდენიმე მერი და ურბანისტი, რომლებმაც ისაუბრეს ღამის ეკონომიკაზე.

ქალაქის ტრანსპორტის პოლიტიკა სწორედ ამ პერიოდში ვითარდებოდა, რაც ხელს უწყობდა ღამის ეკონომიკას, რომ ღამის ავტობუსი დაენიშნათ. გარდა ამისა, თანამშრომლობდნენ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა წვრილ ბიზნესთან და იმ ორგანოების წარმომადგენლებთან, რომლებიც აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული ღამის ეკონომიკაში. ბატონი სერგი გვარჯალაძე, სწორედ რომ პანედიმიას ასახელებს მიზეზად ამ პროექტის წარუმატებლად განორციელებაში, რომელმაც ყველაფერი რადიკალურად შეცვალა თბილისის დღის წესრიგში.

საბოლოოდ პროექტის მენეჯერი, სერგი გვარჯალაძე, არცთუ ისე წარუმატებლად აფასებს პროექტს. დღესდღეობით, თბილისში ნელ-ნელა ხალხი ეჩვევა იმ ღამის რიტმს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ღამის ეკონომიკის პროექტი, რომელიც, სამწუხაროდ ვერ განხორციელდა. პროექტის ორგანიზატორი ამბობს, რომ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს ხმაურს და მისი აზრით, ეკონომიკური ბრუნვა გასტრონომიულ სექტორში საკმაოდ გაზრდილია. მიუხადავად დადებითი ასპექტებისა, გაჩნდა სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ე.წ. ბასიანის ღამეს, რომელმაც საზოგადოების აზრი მნიშვნელოვნად შეცვალა ღამის ცხოვრების მიმართ. შესაბამისად, ადამიანებში გაჩნდა უნდობლობა, რომელიც რთული დასაძლევი იქნებოდა. თუმცა მხოლოდ ეს არ გახლდათ პროექტის წარუმატებლობის მიზეზი, ამ ყველაფერს თან დაერთო კოვიდ პანდემია.

ინტერვიუ ღამის ეკონომიკის თანაორგანიზატორთან გია თაბუკაშვილთან:

პროექტის თანაორგანიზატორი გია თაბუკაშვილი აღნიშნავს, რომ პროექტის ძირითადი დანიშნულებაა კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, საჭირო რეგულაციების ინიცირება და მოქალაქეებისათვის საკომუნიკაციო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზება.

ღამის ეკონომიკის პროექტი ძირითადად არის ლობისტური რგოლი ან ერთგვარი ,,ხიდი" მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ღამის ეკონომიკა არ არის პროცესი, რომელიც ოდესღაც იწყება და დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ სრულდება. ღამის ეკონომიკა არის ზოგადად ეკონომიკის ნაწილი, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება.

ბატონი გია, ფიქრობს, რომ პროექტი მხოლოდ თბილისისთვის იყო განსაზღვრული და არა საქართველოსთვის და იქვე დასძენს: „ვფიქრობ, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა მოსახლეობისთვის აგვეხსნა ღამის ეკონომიკის პროექტის ფუნქცია, ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა მაინც არასწორად აღიქვა მისი არსი".

თანაორგანიზატორი თვლის, რომ ღამის ეკონომიკის გუნდი უბრალოდ არის ადამიანების მცირე ჯგუფი (ხშირ შემთხვევებში ერთი ადამიანი), რომლის დანიშნულება და მიზანია ხელისუფლებას მიაწოდოს ინფორმაცია დედაქალაქში, ღამის საათებში არსებულ გამომწვევებზე, წარმოადგინოს ახალი იდეები, გაუწიოს რეკომენდაცია სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზებს და იყოს ქალაქის მოსახლეობასთან მუდმივ კომუნიკაციაში.

მისი როლი ამ პროექტში განისაზღვრებოდა პროექტის მენეჯერთან ერთად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენაში, საერთაშორისო კომუნიკაციებში, ახალი პროექტების განვითარებასა და მოსახლეობასთან მუდმივ მუშაობაში. მისი გადმოსახედიდან, თბილისის ღამის ეკონომიკის გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პროექტის შინაარსი ყველასთვის გასაგები ყოფილიყო, განახორციელა მრავალი პროექტი, ჩაატარა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმი, სადაც მოიწვია თითქმის ყველა ექსპერტი ღამის ეკონომიკის სფეროდან (პროექტის მენეჯერები, სხვადასხვა ევროპული ქალაქის მერი, ა.შ.) შექმნა გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რეგულარულად ჩამოჰყავდა დარგის პროფესიონალები, ფესტივალებისა და ღამის კლუბების ორგანიზატორები, მფლობელები და მენეჯერები ადგილობრივ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან გამოცდილების გაზიარებისა და ახალი თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიზნით. ,,საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, გუნდმა და ზოგადად ქალაქმა, იმაზე მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე ზოგადად ღამის ეკონომიკის პროექტი ითვალისწინებდა"-ამბობს ბატონი გია.

თანაორგანიზატორი ფიქრობს, რომ პროექტის განხორციელება დღეს რომ მიმდინარეობდეს, რომ მეტს იმუშავებდა ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით, ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. ,,კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეკონომიკა არ ექვემდებარება განხორციელებას, ეკონომიკა არსებობს ორგანულად და პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, თბილისის ღამის ეკონომიკის განვითრების პროექტი კი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რამაც უბრალოდ ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს, წარმოშვას ახალი იდეები, ახალი თანამშრომლობები და რაც მთავარია, ხელისუფლებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია იმ შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებსაც გააჩნია პოტენციალი, ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას"-აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გია თაბუკაშვილმა.

თაბუკაშვილი მიიჩნევს, რომ ხალხს არაობიექტური მოლოდინები ჰქონდათ ამ პროექტიდან, რადგან მთელს მსოფლიოში, ღამის ეკონომიკის პროექტი ასრულებს ლობისტის ფუნქციას და მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაზე.

გერმანიისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი:

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, საქართველოს სურვილი, რომ დანერგილიყო ღამის ეკონომიკის პროექტი, ამის მიზეზი გახლდათ გერმანიის წარმატებული მაგალითი. თუმცა, ჩვენ კვლევის პროცესში ვეცადეთ გადაგვეხედა იმ ძირითად მიზეზებზე, რომლებმაც განაპირობა ღამის ეკონომიკის წარმატებულობა გერმანიაში, აქედან გამომდინარე, გამოვყავით რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელთა შედარების მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს არ ჰქონდა ის ბაზისი, რომელიც გერმანიამ მოამზადა პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის. შეინიშნება დიდი განსხვავება ამ მხრივ საქართველოსა და გერმანიას შორის, რადგან მიზეზები, რომლებსაც თამამად დავასახელებთ იმის აღსანიშნად, რომ გერმანიამ წარმატებით განახორციელა ეს პროექტი, არ იკვეთბა საქართველოს მაგალითზე.

ზოგადად, იმისათვის რომ, ესა თუ ის პროექტი იყოს წარმატებული შენი ქვეყნისათვის, აუცილებელია ყურადღება გაამახვილო ბაზისზე და თუ ამისთვის არასაკმაირის მზაობა გაქვს, დაიწყო პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას, ისევე როგორც ეს მოხდა გერმანიის შემთხვევაში.

უპირველეს ყოვლისა, გერმანიაში ღამის ეკონომიკის პროექტის დანერგვაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დაკვეთით კვლევები ჩატარდა ქალაქებში, კერძოდ, ადგილობრივი კლუბური სცენის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. ანუ მათ თავიდანვე სცადეს, რომ შეექმნათ ძლიერი ბაზისი პროექტისათვის. გერმანიამ ჩატარებული კვლევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დაიწყო ამ პროექტის წარმატებით განხორცილება. არსებული ტიპის კვლევა არ ჩატარებულა საქართველოში, კერძოდ, ამ შემთხვევაში აქცენტი გვაქვს თბილისზე, თუმცა არც თბილისში ჩატარებულა საინფორმაციო შეხვედრა.

მეორე და ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ, გერმანიის უდიდესი პოტენციალი ტურიზმში. ვინაიდან, გერმანია ტურისტულად დიდი პოპულარობით სარგებლობს ღამის ეკონომიკის პროექტის განხორციელებაც სრულიად რელევანტურია. ჯერ მარტო იმიტომ, რომ გერმანიის დიდი ქალაქები ყოველთვის ხელმისაწვდომია ღამის ცხოვრებისათვის. ტურისტული თვალსაზრისით, არც საქართველო ჩამორჩება გერმანიას, თუმცა აქ უნდა დავუკვირდეთ სპეციფიკას. სპეცფიკურად მთავარი მახასიათებელი გერმანიისა გახლავთ ის, რომ ტურისტები შესაძლოა, ჩადიოდნენ და სტუმრობდნენ ქვეყანას მხოლოდ გასართობადაც კი, საქართველო კი ტურისტებში პოპულარობით სარგებლობს თავისი კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების გამო. აქედან გამომდინარე, ტურისტებში საქართველო როგორც ღამის ქვეყანა დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. გერმანიის შემთვევაში, ღამის ეკონომიკის პროექტის დანერგვა სრულიად რელევანტური გახლდათ, ვინაიდან, მსოფლიო მასშტაბით გერმანია გართობის მხრივ ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა.

პროექტის განხორციელების პროცესში ხშირია შემთხვევები, როცა უამრავი პრობლემა იჩენს თავს, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს ფინანსური ზარალი, რომლის დაფარვაც ასევე ხარჯებთანაა დაკავშირებული. გერმანიას სწორედ ტურისტების დამსახურებით შეუძლია აანაზღაუროს ზარალი უპრობლემოდ, საქართველოს კი არ აქვს იმის შანსი ხშირად დაუშვას შეცდომები, რადგან შემოსავალი ამ მიმართულებით არც ისე დიდია, შესაბამისად, არც შესწევს ძალა პრობლემებით გამოწვეული ხარჯები მარტივად აანზღაუროს.

რომ დავუბრუნდეთ კვლევის ხაზს, გერმანიაში ასევე ჩატარდა კვლევა სხვადასხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა აზრის გამოსაკითხად, კერძოდ, ყურადღება გამახვილდა ბიზნეს სექტორზე, რამდენად შეძლებდნენ ისინი ჩართულიყვნენ ამ პროცესში და ფეხი აეწყოთ ღამის ცხოვრების სტილზე. კვლევის საფუძველზე დადგენილი შედეგების მიხედვით კი, მათ დაიწყეს გეგმისა და სამუშაო პროცესის ისე წარმართვა, როგორც ეს შეეფერებოდა რეალურ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ ყოფილა ჩატარებული მსგავსი ტიპის კვლევა, უფრო მეტიც, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა ბოლო წუთამდე არ იცოდა თუ იგეგმებოდა ღამის ეკონომიკის პროექტის განხორციელება და საერთოდ რას ნიშნავდა

იგი. რეალურად, ეს არის გზა, რომელიც პრობლემებს დაგვანახებს და მოგვცემს მათი აღმოფხვრის საშუალებას, თუმცა საქართველოს არც აქ გამოუჩენია ინიციატივა პროექტის წინარე პერიოდში და მით უმეტეს მას შემდეგ.

ნებისმიერ პროექტსა თუ იდეას თან ახლავს გამოწვევები, რომლებიც შესაძლოა გამოჩნდეს და დადგეს ჩვენს დღის წესრიგში, სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ მათ დასაძლევად. დღესდღეობით ფინანსები წყვეტს ბევრ რამეს, ამიტომ ვაბანკზე წასვლამდე აუცილებლად უნდა გვჯეროდეს და დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რაც ამ ყველაფრის საფუძველია. თუ პრობლემები იქმნება, ძლიერმა ეკონომიკურმა ბაზისმა უნდა დაძლიოს ისინი და მოგვცეს შესაძლებლობა მარტივად გავუმკლავდეთ მას. ეს ძლიერი ეკონომიკური საფუძველი სულ ჰქონდა გერმანიას, ამიტომ ცდა და იდეის განხორციელებაც არ იყო მათთვის პრობლემა. საქართველოს კი, სამწუხაროდ, არ გააჩნია ძლიერი ეკონომიკური საფუძველი, რომლითაც რიგ პრობლემებს გაუმკლავდება.

კვლევების მიმართულებით გერმანიამ იმუშავა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა სივრცითი და სამართლებრივი საკითხები. გარდა იმისა, რომ მათ შეისწავლეს სოციალური ფონი, საზოგადოების განწყობა, კონკრეტული სექტორების ჩართულობა ამ პროცესში, მათ არ დავიწყებიათ ზემოხსენებული თემებიც, პროექტი თავისი იდეით უნდა იყოს ძალიან ნათელი, ყველა დეტალი უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან იხარჯება ფინანსები და საქმე ეხება ქვეყნის პროექტს და არა რომელიმე კონკრეტულ სფეროს. საქართველოს მაგალითზე არც ამ კვლევებს ვხვდებით, აქაც არ ჩანს შედეგები იმისა თუ რამდენად იმუშავა თბილისის მერიამ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორცაა სივრცე და სამართლებრივი მხარე.

როგორია ხალხის განწყობა? რას ფიქრობს პროექტის მთავარ იდეასა და შინაარსზე? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს მნიშვნელოვან მხარეს ღამის ეკონომიკის დანერგვისათვის. გერმანიამ თავის დროზე, როცა ამ პროექტის განხორციელებას აპირებდა კონკრეტული ქალაქების მაგალითზე შეისწავლა საზოგადოებრივი განწყობაც, ამის ნათელი მაგალითია ჰამბურგი. ქალაქ ჰამბურგის კვლევებმა აჩვენა, რომ იქ მცხოვრები 300,000 ადამიანი თავიანთ ქალაქს უწოდებდნენ "MUSIKSTADT"-ს, იგივეა რაც მუსიკის ქალაქი. როგორც უკვე ვახსენეთ, ღამის ეკონომიკა არათუ მოიცავს, არამედ მის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მუსიკალური მხარე. ვინაიდან კლუბები და ბარები სწორედ მუსიკებისა და სიმღერების მეშვეობით ახერხებენ შეინარჩუნონ პოპულარობა. აქედან გამომდინარე, გერმანიაში საზოგადოებრივი განწყობა იყო ძალიან მაღალი და დადებითი, შესაბამისად, ისინი ემხრობოდნენ ღამის ეკონომიკის დანერგვას თავიანთ ქალაქსა თუ ქვეყანაში. სამწუხაროა, თუმცა, არც მსგავსი ტიპის კვლევა ჩატარებულა საქართველოში, მათ არ შეუსწავლიათ საზოგადოებრივი განწყობა, იყო თუ არა მოსახლეობა მზად გადატვირთული ქალაქისთვის ღამის საათებში, რამდენად კომფორტული იქნებოდა მათთვის მუსიკებისა და სიმღერების ხმა მთელი ღამის განმავლობაში და აშ.

აქვე, ცალკე ფაქტორად უნდა გამოიყოს მოსახლეობის სურვილი, რომ გერმანიაში სასცენო ხელოვნების განვითარებასთან ერთად, დაწყებულიყო და განვითარებულიყო საცხოვრებელი ადგილის ბრენდინგი. გერმანიის მოსახლეობა შორეული პერსპექტივით უყურებდა ღამის

ეკონომიკის პროექტს, იაზრებდა რა იმ პროცესებსა და შედეგებს, რომლებიც თან ახლდა პროექტის განხორციელებას და ისინი ნათლად გამოხატავდნენ სურვილს, რომ თავიანთ ქალაქში და ზოგადად ქვეყანაში სასცენო ხელოვნება განვითარებულიყო ამით კი ხელი შეეწყოთ საცხოვრებელი ადგილის ბრენდინგისათვის. რეალურად ამ მაგალითზე საუბრისას, იმის ხსენება, ჰქონდათ თუ არა საქართველოს მოსახლეობას მსგავსი სურვილი, შეუძლებელია ვიმსჯელოთ, ვინაიდან, როგორც უკვე, არაერთხელ, ვახსენეთ საქართველოს მთავრობასა და პროექტის ორგანიზატორებს და ასევე თბილისის მერიას არ გამოუკითხავს საზოგადეობა, მეტიც, საზოგადოების უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია ღამის ეკონომიკის პროექტის შესახებ და ისიც არ იცოდნენ იგეგმებოდა თუ არა მისი განხორციელება, შესაბამისად, ისინი საკუთარ მოსაზრებასაც ვერ გამოხატავდნენ სათანადოდ. არიან მოქალაქეები, რომლებმაც დღემდე არ იციან ღამის ეკონომიკის პროექტის შესახებ, შემთხვევაზე და მცდელობაზე, რომელიც ვერ განხორციელდა და კრახით დასრულდა. შესაძლოა, ძალიან ბანალურად ჟღერდეს, თუმცა საზოგადოების ინფორმირებულობასა და ცნობიერების ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელების შემთხვევაში, ვინაიდან, სწორედ მოსახლეობა უნდა იყოს ის, ვინც უშუალოდ იქნება მომხმარებელი ამა თუ იმ სერვისისა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გათვალისწინებით კი ნათლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიისა და საქართველოს მდგომარეობა პროექტის განხორციელებამდე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან საქართველოს არ ჰქონია შესაბამისი მზაობა ღამის ეკონომიკის პროექტის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, ხოლო გერმანიამ შეძლო და ყურადღება გაამახვილა ისეთ კომპონენტებზე, რომლებიც გარანტიაა პროექტის სრულყოფილად წარმართვისათვის.

დასკვნა

ღამის ეკონომიკა მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალაქის განვითარებასა და მისი ეკონომიკის ზრდაში, თუმცა როგორც აღმოჩნდა, საქართველო მზად არ იყო ამ გამოწვევასთან გამკლავებაში, რაც განპირობებული იყო და არის საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობით, არასწორი სტრატეგიითა და ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე უარის თქმით, რომლებიც წარმოადგენს პროექტის სრულყოფილად განხორციელების ბაზისს. სამოქალაქო მზაობა არის დაბალი, რაც გამოიხატა თუნდაც ღამის ავტობუსით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობით. თბილისის მერიის სტრატეგია კი შეუსაბამო იყო საქართველოს მოსახლეობისთვის და ეს ჯერ კიდევ ჩანს ისეთ მთავარ მიზეზში, როგორიცაა მოსახლეობის არაინფორმირებულობა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებისთვის რთულია, განსხვავებული და უჩვეულო ღამის ცხოვრებაზე გადასვლა, ვინაიდან, ერთია - არ გქონდეს საკმარისი ინფორმაცია არსებული პროექტის შესახებ და მეორე - ინფორმირებულობის შემთხვევაში ნათლად განსჯიდე რამდენად შეესაბამება არსებული პროექტი ქვეყნის აწმყოსა და რეალურ მდგომარეობას. შესაბამისად, მოსალოდნელია მათი მხრიდან უარყოფითი რეაქციაც, რაც დააზარალებს სახელმწიფოს და გამოიწვევს მთავრობის მიმართ უნდობლობას. გარდა ამ ფაქტორებისა, პროექტის წარუმატებლობა გამოიწვია არასწორმა სტრატეგიულმა გეგმამ, რომელიც არ ითვალისწინებდა გამოწვევებსა და ბარიერებს, რომლებსაც შეიძლებოდა

პროექტის განხორციელების ეტაპზე შეხვედროდნენ. შესაბამისად, ამგვარი არასწორი მიდგომების გამო, გამოყოფილი თანხებიც პროექტის წარმატებულად განხორციელებას ვერ მოხმარდა, ამიტომ ღამის ეკონომიკის პროექტი საქართველოსთვის აღმოჩნდა და კვლავაც რჩება დიდ გამოწვევად. საბოლოო ჯამში კი, შეგვიძლია თამამდ ვთქვათ, რომ საქართველოსთვის ღამის ეკონომიკის პროექტი იყო გამოწვევა, ვიდრე განვითარების შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფია:

სამადაშვილი უ. (2010, აპრილი)- „ეკონომიკური პოლიტიკის არსი, მიზნები და ამოცანები“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (2018, 20 აპრილი)- „ ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის პრეზენტაცია“

შპს დელოიტი და ტუში (2019, საქართველო) - „ღამის ეკონომიკის კვლევა ღამის ეკონომიკის გლობალური პუბლიკაციების ნაწილი “

GREGORY GETHARD (June 29, 2021) - “The German Economic Miracle”

Jakob F. Schmid, HCU Hamburg (November 3-4, 2011) - “German Nachtleben, German approaches to the night-time economy”

Roberts M. (September 2004) - “Good Practice in Managing the Evening and Late Night Economy: A Literature Review from an Environmental Perspective”

The local Germany (December 14, 2017) - ‘‘The night economy’: how even conservatives are trying to protect Berlin techno”

Tuong N.T (March 4, 2022) – “Developing night-time economy: international experience and policy implications for Da Nang city, Vietnam.”